ლელო

26 დეკემბერი, შაბათი, 1992 წ.
№ 80 (10787) ● ფასი 2 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული თავდაცვის ფონდში

● **საქართველოს** სპორტკომიტეტში გამართულ შეკრებაზე კომიტეტის აპარატის, სპორტული ფედერაციების, საზოგადოებებისა და ორგანიზაციების მუშაკებმა მიიღეს გადაწყვეტილება, თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად გადაირიცხოს მათი ხელფასების 1 პროცენტი.

● **საქართველოს** ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ქალბატონმა გიული ჭალაღანიამ ოქროს ბეჭედი შეიტანა ეროვნული თავდაცვის ფონდში.

● **თბილისის** საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერის მთავარმა ექიმმა ო. ვირუბოვმა გუშინ გვაცნობა, რომ თანამშრომელთა გადაწყვეტილებით ყოველთვიურად თავდაცვის ფონდში შეიტანენ თითო დღის ხელფასს, რაც ათჯერ აღემატება თვიური ხელფასის 1 პროცენტს.

და კიდევ...

მეომრების ჯანმრთელობის აღსადგენად

თბილისის საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერში, ამჟამად რამდენიმე ჩვენი მეომარი მკურნალობს. დისპანსერის ხელმძღვანელობა იტყობინება, რომ აქ აღდგენითი თერაპიის კურსის ჩასატარებლად, შესაბამისი სამხედრო-სამედიცინო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე, მიიღებენ ყველა დაჭრილ მეომარს.

+1

იამაყეთ, ხონელებო!

დღეს, ხონელები მართლაც ამაყობენ იმით, რომ რაიონულ ცენტრში, როგორც იქნა დასრულდა დიდი ხნით გაჭიანურებული საკალათბურთო დარბაზის მშენებლობა. პირველი მატჩი ახალ დარბაზში „დინამოს" და „ვითას" კალათბურთელებმა გამართეს და დამთავრდა ფრედ — 122:122.

გულდასაწყვეტია, რომ ჩვენს რედაქციას ამ ღირსსახსოვარი მოვლენის შესახებ არავინ შეატყობინა და „ლელოს" კორესპონდენტი ღონისძიებას ვერ დაესწრო.

„ლელოს" საგანგაშო სიგნალს მთავრობა გამოეხმაურა

ჩვენი გაზეთის 2 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა შემაშფოთებელი ცნობა იმის შესახებ, რომ მიწის რეფორმასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში მიიტაცეს საფეხბურთო მინდვრები ან სხვა სპორტული მოედნები და ბევრგან იგი დაუკანონეს კიდეც მოსახლეობას როგორც საკარმიდამო ნაკვეთი. რესპუბლიკის მთავრობამ ამასთან დაკავშირებით მიიღო საგანგებო განკარგულება, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი

განკარგულება

№ 954 გ
1992 წლის 16 დეკემბერი
ქ. თბილისი

რესპუბლიკაში მიწის რეფორმის მიმდინარეობისას ადგილი აქვს სოფლად საფეხბურთო მინდვრებისა და სხვა სპორტული მოედნების საკარმიდამო ნაკვეთებად დაკანონების შემთხვევებს. აღნიშნული ფაქტები აღკვეთონ ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო ორგანოებმა. მიწის რეფორმების შესაბამისმა კომისიებმა შეისწავლონ და შეასრულონ „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის № 128 დადგენილების მეოთხე პუნქტის მოთხოვნები, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებად მიტაცებული საფეხბურთო მინდვრები და სხვა სპორტული მოედნები დაუყოვნებლივ აღადგინონ ადრინდელ საზღვრებში და უზრუნველყონ მათი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **თ. სიგუა.**

ტანვარჯიში ● საერთაშორისო ტურნირები

წარმატებიდან — წარმატებისკენ...

საზღვარგარეთული ტურნეებიდან დაბრუნდა საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები, რომელმაც წარმატებით იასპარეზა უნგრეთსა და პოლონეთში.

გვესაუბრება საქართველოს სპორტული ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **რუსუდან სიხარულიძე:**

დეკემბერი ჩვენი ტანმოვარჯიშეებისთვის უხვმოსავლიანი გამოდგა — თავდაპირველად ჩვენს გუნდს ოქროს მედლები უნგრეთის ქალაქ კომკენპალის საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა ალექსანდრე თვაურმა და ქუთაისელმა ილია გიორგაძემ მოუტანეს. პირველობა გათამაშდა ასაკობრივ ჯგუფებში. თვაური (მწვრთნელი კოკური ხადური) 1977 წელს დაბადებულებში გამოდიოდა, იგი ექვსიდან სამ ვარჯიშში: თავისუფალ, ტაიჭზე და ღერძზე — პირველი იყო, რგოლებზე და ორძელზე — მეორე, ხტომებში — მესამე, მოაგროვა 55,4 ქულა და მეტოქეთათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. 1978 წელს დაბადებულებში მოასპარეზე გიორგაძე (მწვრთნელი ნიკოლოზ ჰანტურია) ტურნირის სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს. იგი ტაიჭზე — მეორე, დანარჩენ ვარჯიშებში — პირველი იყო. საბოლოო შედეგი — 57,0.

ტურნირზე ჩვენსა და მასპინძელთა გარდა მონაწილეობდა გერმანიის, ინგლისის, რუმინეთის, ფინეთის, ავსტრიის, სხვა ქვეყნების გუნდები.

უნგრეთში გუნდს ხელმძღვანელობდნენ მწვრთნელი ნიკოლოზ ჰანტურია და მსაჯი გრიგოლ რაჭველიშვილი. შემდეგ ჩვენები ლოძში გაემგზავრნენ ერთობლივ საწვრთნელ-სასწავლო შეკრებაზე კლუბ „ტიტჩასთან". ლოძის ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობდნენ ბელგიის, გერმანიის და საქართველოს ნაკრებები, აგრეთვე, „ტიტჩას" და ვარშავის „ლეგიის" გუნდები. ჩვენი ვაჟებიც და გოგოებიც გუნდურ ჩათვლაში პირველები იყვნენ. პირად შეჯიბრებაში თითქმის ყველა საპრიზო ადგილი ქართველებს ხვდათ. პირველი იყო ილია გიორგაძე („მართვე") — 57,5, მეორე — ლევან სისაური — 57,4, მესამე — ნუგზარ ღვინიაშვილი (ორივე — „შევარდენი", თბილისი) — 56,5. გოგოებში I-II ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ქუთაისელები სოფიკო მანაგაძე — 38, 35 და მაია ჟორჟოლიანი — 37,7 (მწვრთნელები თემურ ქოიავა, რუსუდან სიხარულიძე). გუნდს ვხელმძღვანელობდით ფედერაციის გენერალური მდივანი ზიგფრიდ გვეტაძე, უფროსი მწვრთნელები როინ პასეკაშვილი, თემურ ქოიავა და მე.

ეს გასვლები მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც გაისად 10-16 აპრილს გაიმართება ბირმინგემში. იმედია, მსოფლიო ჩემპიონატზე თავს არ შევირცხვენთ. მანამდე თებერვალში გამოვალთ საერთაშორისო ტურნირზე აშშ-ში, მარტში კი მოსკოვში „მსოფლიოს ვარსკვლავების" ასპარეზობა გველოდება. შემდეგ დაკომპლექტდება ნაკრები (3 ვაჟი, 3 გოგო), რომელიც ბირმინგემში გაემგზავრება.

საუბარი ჩაიწერა
რამინ ყურაშვილმა.

ღია წერილი პარლამენტს

ვფიქრობ, ბევრი ჩემი კოლეგის აზრს გამოვხატავ თუ ვიტყვი, რომ პარლამენტის სხდომამ, რომელზეც ფიზკულტურისა და სპორტის მართვის ახალი სტრუქტურა იხილებოდა, უკმარისობის გრძნობა დამიტოვა და გადამაწყვეტინა ჩემი პოზიციის ღიად გამოთქმა.

პირველი, რაც თვალშისაცემი და მიუღებელია, ეს არის პარლამენტის დამოკიდებულება ამ დარგისადმი. სამინისტროს სახელწოდებაზე მსჯელობისას გამოითქვა მოსაზრება, რომ დასახელებიდან სიტყვა ფიზკულტურა ამოგვეღო, რათა კომიტეტის ან სამინისტროს დასახელებას უფრო სერიოზული იერი მისცემოდა. ალბათ აქედან მოდის ის აზრი, თითქოს ფიზკულტურაზე სჯა-ბაასი სერიოზული საქმე არ იყოს.

ფიზიკური კულტურა რომ კულტურის განუყოფელი ნაწილია და ჰარმონია უამისოდ შეუძლებელია — ცხადია. დღეს რომ ერის სიჯანსაღე ყველაზე უფრო საჭიროა, ესეც დავას არ უნდა იწვევდეს. ფიზიკური კულტურა რომ უპირველესად სახელმწიფო საზრუნავი უნდა იყოს, რომ მრავალ მოძალებულ სნეულებასა და მავნე ჩვევას ფიზიკური კულტურა უნდა დავუპირისპიროთ, რომ ფიზიკური კულტურის საგანმა ყველა სასწავლო დაწესებულებაში საგანთაშორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა დაიმკვიდროს, არც ეს უნდა იყოს სადავო. მაშ, რა ხდება? ალბათ საქმე ის არის, რომ დღეს ჩვენი საერთო კულტურა დიდ გასაჭირშია, აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ინტელიგენცია და ფიზკულტურული მოძრაობა გაეთიშა ერთმანეთს. ბევრს ჰგონია, თითქოს მათი ზოგადი ინფორმაციული ცოდნა საკმარისი იყოს ამ დარგის მართვისა და პრობლემათა გადაჭრისათვის.

პარლამენტის სხდომაზე, როდესაც კენჭი უყარეს, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო კომიტეტად გადაკეთებულიყო თუ სამინისტროდ დარჩენილიყო, უწყების კომიტეტად გადაკეთების ვარიანტი ვერ გავიდა. მაშასადამე, უნდა და-

იხ. მე-3 გვ.

ქართველი ფეხბურთელები უცხოეთში

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები, როგორც ცნობილია, კვიპროსის სახელმწიფოში იმყოფება ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად. პირველი მატჩი საქართველოს გუნდს ამ ქვეყნის ნაკრებთან ჰქონდა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს კვიპროსელებმა — 1:0.

მეორე შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა ქ. ლარნაკის „ანორთოსისთან" გამართა და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები ავსტრიის ქალაქ ლინცში მონაწილეობდნენ მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში. აქაურ სპორტის სასახლეში გამოდიოდა სხვადასხვა სახელმწიფოს 20 გუნდი.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს, მაგრამ შემდეგ ნახევარფინალში მარცხი განიცადეს პოლონეთის „კატოვიცესთან" შეხვედრაში.

დაბოლოს, თბილისის „დინამო" III ადგილისთვის შეხვდა ავსტრიის „რიდს" და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 6:0. ფინალში ითამაშეს ადგილობრივი „მოიდლინგისა" და პოლონეთის „კატოვიცეს" ფეხბურთელებმა. გაიმარჯვა „მოიდლინგმა" — 4:3.

ჭაბუკები ევროპის ჩემპიონატზე

ამას წინათ ჟენევაში მოეწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირების წილისყრა. ეს ტურნირები გაიმართება ორ ასაკობრივ კატეგორიაში, ცალკე 16-წლიანებისათვის, ცალკე — 18-წლიანებისათვის.

16-წლიანთა ტურნირის VIII შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ **შვეიცარია, საქართველო, სლოვენია.** კალენდარული შეხვედრები ამ ჯგუფში დაიწყება 1993 წლის 1 აგვისტოდან, ხოლო ფინალური ტურნირი მოეწყობა ირლანდიაში 1994 წლის 20 აპრილიდან 15 მაისამდე.

18-წლიანების VI შესარჩევი ჯგუფი: **საქართველო, ისრაელი, უკრაინა.**

შესარჩევი მატჩები ჯგუფში გაიმართება 1993 წლის 1 აგვისტოდან, ხოლო ფინალური გათამაშება მოეწყობა 1994 წლის ივლისის დასასრულს პორტუგალიაში.

საქართველოს ჩემპიონატი ათლეტიზმში

სიღნაღელთა 18 რეკორდი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში რესპუბლიკის მეხუთე ჩემპიონატი გაიმართა ათლეტიზმის ერთ-ერთ სახეობაში — ძალისმიერ სამჭიდში. საერთაშორისო სპორტის სამყაროში იგი პაუერლიფტინგის სახელითაა ცნობილი. შეგახსენებთ, რომ ჩვენში ათლეტიზმის შემოღების მოთავე გახლდათ აწ გარდაცვლილი კოტე ზიუტაშვილი.

აშშ-ში, ფინეთში, ინგლისში, კანადაში, პაუერლიფტინგს პროფესიონალი სპორტსმენები მისდევენ და აუარებელი გულშემატკივარი ჰყავს.

ჩვენში ძალისმიერ სამჭიდში სულ შვიდი მწვრთნელი მუშაობს — ზურაბ ჭავჭანიძე, შოთა ბექაშვილი, დავით სეჟანიშვილი, ვაჟა კურკუმელი, ილარიონ კვიკვინია, ნოდარ წერეთელი და ზაზა ჯაფარიძე.

უნივერსიტეტის დარბაზში ფიცარნაგზე გამოვიდნენ: სიღნაღელი, თელაველი, თბილისელი და კასპელი ათლეტები. გვითხრეს, რომ მომავალში მათ შეემატებიან დასავლეთ საქართველოს რიგი ქალაქები და რაიონები.

ამ ჩემპიონატში დამყარდა საქართველოს 19 რეკორდი. მათგან 18 ეკუთვნის სიღნაღელ ათლეტებს.

შეჯიბრების ნამდვილ ტრიუმფატორად წარმოჩნდა 21 წლის სიღნაღელი სპორტსმენი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი მამუკა შენგელია, რომელსაც 19-დან 15 რეკორდი ეკუთვნის.

ძალისმიერ სამჭიდში მეტად პრესტიჟულად ითვლება გამარჯვება შვარცის კოეფიციენტით, როცა შედეგი იყოფა საკუთარ წონაზე. ამ მაჩვენებლით საუკეთესო იყო ივანე ამონაშვილი („ორბი").

სიღნაღელთა მიღწევები შესანიშნავი ათლეტის 36 წლის შოთა ბექაშვილის დიდი დამსახურებაა. 11 წლის წინათ მან შექმნა თავის მშობლიურ კუთხეში ათლეტიზმის ჯგუფი და ბევრ ახალგაზრდას შეაყვარა „რკინასთან ჭიდილი". შოთას პირად ანგარიშზეა ევროპის 5 და საქართველოს 53 რეკორდი. 100 კგ წონაში ამჯერად მან საქართველოს 3 რეკორდი დაამყარა, ხოლო აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა სამჭიდში (725 კილოგრამი).

გაგაცნობთ გამარჯვებულებს:

52 კგ. მამუკა შენგელია „ერქვანი" (სიღნაღი) — 425 კგ;
56: ივანე ამონაშვილი „ორბი" (თბილისი) — 480;
60: მინდია ფეზუაშვილი „ორბი" (თბილისი) — 375;
67,5: ალექსანდრე დალაქიშვილი „უნივერსიტეტი" (თბილისი)— 570;
75: გიორგი მაისურაძე „უნივერსიტეტი" (თბილისი) — 522,5;
82,5: ვლადიმერ ბედიაშვილი „ორბი" (თბილისი) — 580;
90: სოლომონ ჩეკურიშვილი თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი— 690;
100: შოთა ბექაშვილი „ერქვანი" (სიღნაღი) — 725;
110: ზაზა ცერცვაძე „ორბი" (თბილისი) — 680;

გუნდური: 1. „ორბი" (თბილისი, მწვრთნელი ვაჟა კურკუმელი) — 43 ქულა;
2. „უნივერსიტეტი" (თბილისი, მწვრთნელი ზურაბ ჭავჭანიძე) — 23;
3. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი (მწვრთნელი დავით ბექაშვილი) — 21.

საქართველოს ათლეტებს, რომელთაც მაღალი რეიტინგი აქვს, შესწევთ ძალა თამამად გავიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ ჯერჯერობით უსახსრობის გამო ამას ვერ ახერხებენ.

ამ ჩემპიონატის სპონსორი იყო ასოციაცია „ერქვანი" (პრეზიდენტი კობა ჯიბლაშვილი).

ნუგზარ დავითუ

მთავარი რ
გაბრიელ ბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურავენ, მაინც ცურავენ...

მოცურავეთა რესპუბლიკური იასის გათამაშებაზე მაინც მოგროვდა 6 გუნდის 120-მდე წარმომადგენელი, დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან სპორტსმენთა გამოგზავნა მოახერხეს მხოლოდ აჭარამ და ქუთაისმა. ქუთაისის გუნდსაც (593 ქულა) და აჭარის სპორტსმენებსაც (473) აჯობეს გორელმა მოცურავეებმა (795), რომლებსაც ტაცილებით ნაკლები საშეჯიბრებო გამოცდილება აქვთ და ტრადიციებითაც საგრძნობლად ჩამორჩებიან დასახელებულ რეგიონებს. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში შექმნილმა რთულმა ვითარებამ კვალი სპორტსაც დაამჩნია.

მოცურავეთა ამ მარათონში, რომელშიც ფაქტობრივად წლის მანძილზე გაწეული მუშაობა მოწმდებოდა, ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი I — (3977 ქულა), 2. თბილისი II (2656), 3. რუსთავი (1841).

ტურნირის მონაწილენი 4 განსხვავებულ მანძილზე სხვადასხვა ყაიდით ცდიდნენ ძალებს. ადგილებიც მრავალჭიდის შედეგებით ნაწილდებოდა. სპეციალისტებმა გამოყვეს კობა აბზიანიძე, რომელმაც ჩრასის მრავალჭიდში 421 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ქალთა შორის ამ სახეობის მრავალჭიდში იმარჯვა ეკა გულიშვილმა — 272. შაქეს საშუალო მანძილებზე მოცურავეთა მრავალჭიდში დაწინაურებულნი შოთა დავითაია, სიმონ ქიტიაშვილი და დიმიტრი მოროზოვი (გულაღმა ცურვა).

უნდა აღინიშნოს თბილისელი და-ძმა ლიკა და გიგა ყიფიანების გამარჯვებები. პირველმა სპრინტერთა მრავალჭიდში მიაღწია წარმატებას, მეორემ — დელფინისტთა შეჯიბრებაში. იმარჯვეს აგრეთვე, პეტრე დანილენკომ (სპრინტერ ვაჟთა შორის), ეკა ჩახვაშვილმა და ესო ჩხაიძემ (სტაიერთა შორის), ულაღმა მოცურავე მაია კაკუტიამ.

◆ ◆ ◆

ხოლოდ ამარჯვებულები

ვერის პარკში მდებარე ოლიმპიური რეზერვის კრივის სპორტსკოლის რინგზე „შევარდენის“ რესპუბლიკურ ჩემპიონობას ეცილებოდნენ ერთმანეთს ცამეტ-თოთხმეტი წლის ჭაბუკები. სარბიელზე იყვნენ ფოთის, თეთრი წყაროს, ტყიბულის, გურჯაანის, რუსთავის, ვანისა და თბილისის ნორჩი სპორტსმენები. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველობას დაეუფლნენ: 32 კგ. სერგო ყუფარაძე (ფოთი), 34. რატი ჭადუა, 36. ზვიჩა ამირველაშვილი (ორიონი — თეთრი წყარო), 38. გია ყარახველიძე, 40. ალეკო კობლაშვილი (ორიონი—ტყიბული), 42. დავით კუჭაშვილი, 44. სპარტაკ ლაზარაშვილი, 46. მიხეილ მარტიანი, 48. მამუკა მამედოვი, 50. გია ლაგვილავა, 52. გურამ კალოიანი (ყველა—თბილისი), 54. დავით ყალაბეგაშვილი (გურჯაანი); 54. თამაზ ცაავა, 60. ნიკოლოზ ბუაძე (გურჯაანი), 66. ლაშა ჩიკადუა (თეთრი წყარო).

◆

პრეზენტაცია

ამ ცოტა ხნის წინ მილანში მოეწყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მრავალდღიანი ველორბოლის („ტურ დე ფრანსის“ შემდეგ) — „ჯირო დ' იტალიას“ პრეზენტაცია, რომელზეც საუბარი იყო 1993 წლის შეჯიბრებაზე. ჯერჯერობით არაფერი არ თქმულა დაწვრილებით მომავალი რბოლის შესახებ, ერთი სიახლე დაადგინეს მხოლოდ — მომავალი „ჯირო“ სტარტს აიღებს კუნძულ ელბაზე.

ასეთი რამ რბოლის მრავალწლოვან ისტორიას ახსოვს მხოლოდ ერთხელ, 1980 წელს, როცა „ჯიროს“ ლიდერი ფრანგი ბერნარ ინო იყო, ეტაპი კი იტალიელმა კარბელო ბარონჩინმა მოიგო.

დაუვიწყარი სახელები

80 წელი გასულა, ნესტორ!

საოცარია, პირდაპირ!

საოცარია, რა შეუბრალებლად, რა ულმობლად გადის დრო. ვერც მოხედვას მოასწრებ, ვერც საქმეებს მოითავებ და დღეც გალეულია. გასულია სამუდამოდ.

ასე უმოწყალოდ ინავარდა ამ მუხანათმა წლებმა და, აგერ, ჩვენი მხნე, მუდამ ყოჩაღი, მუდამ ოპტიმისტი ნესტორ ჩხატარაშვილი რვა ათეულ წლის მიჯნას მიადგა.

თითქოს მორჩა ყველაფერი: ამაოება — ამაოებათა. თითქოს ყველა სასვალიო იმედი და ოპტიმისტური პერსპექტივები წარსულის შფოთიანმა მორევმა შთანთქა და დარჩა მხოლოდ საკუთარი ძალების მცირე რამ მარაგი, და ის უმნიშვნელო იმედიც, რომელიც ადამიანს ხვალინდელი ცხოვრების მწირ რესურსებს უნარჩუნებს და უღვივებს...

მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, რამდენი ხანია ვიცნობ ნესტორ ჩხატარაშვილს. დიდი ხანია, ძალიან დიდი, აგერ, ნახევარი საუკუნე იქნება. ეს ნაცნობობა, რა თქმა უნდა, მე მანამდეც მქონდა, როცა სკოლის გახტაგანა მოსწავლეს, უკვე სფეხბურთო ცხოვრებაში ჩართულს, მიმეშურებოდა ჯერ ლენინის სტადიონზე სართანიას ქუჩისკენ, მერე კი „დინამოს“ ახალაგებულ, ჯერ დაუმთავრებელ შესანიშნავ სტადიონზე, იქ, სადაც უწინ აბრეშუმის საწარმო დაწესებულება იყო და რესტორანი „როტონდა“ იდგა. მიმეშურებოდა 10-12 წლის ბავშვს კიდევ და კიდევ რომ მენახა თბილისის „დინამოს“, ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდის, ტსპო-ს თამაშები, მენახა დოროხოვი, შავგულიძე, აბაშიძე, ასლამაზოვი, ვაჩნაძე, ბოლოტინი, ყალიჩავა, დუკა რამიშვილი, პანინი, მიშა ბერძენიშვილი, გაგუა, ჯეჯელავა, სალონინი, მენახა ჩვენი დღევანდელი იუბილარი ნესტორ ჩხატარაშვილიც თავის მუდმივ ადგილზე ცენტრჰავბეკად ჯერ ტსპო-ში, მერე კი „ლოკომოტივში“.

ნესტორი თამაშობდა აზარტით, მთელი სულითა და გულით. მისი ბოხი ხმა შორს ტრიბუნებზეც ისმოდა. იგი ერთთავად ბრძოლისკენ მოუხმობდა მეგობრებს: მიდით, ბიჭებო, მიდით, ნუ გაჩერდებით, იმოძრავეთ, იმოძრავეთ...

მერე ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდში ფოთიდან ჩამოვიდა ბორია პაიჭაძე, მალე „დინამოში“ გადაინაცვლა და ქართულ ფეხბურთსაც ახალი სიცოცხლე, ახალი ელვარება შემატა.

რა ხნისა ვართ ის ხალხი, ვინც ჯერ კიდევ მაშინ, 30-იან წლებში დავდიოდით სტადიონზე?

ჰმ... ჰმ... ბევრის, ძალიან ბევრის!

და, აი, დღეს ნესტორის დაბადების 80 წლის მოვესწარით. იუბილეა, სევდიანი იუბილე. შევიკრიბებით ხოლმე ნესტორთან, დავსხდებით, ვახსენებთ ძველ ხალხს, ძველ ადამიანებს, ამ ქვეყნიდან წასულ მეგობრებს. წამსვე მოგვეძალება ხოლმე შორეული, ღრმა წუხილი აუნაზღაურებელი დანაკლისის შემყურე ცოცხლებს...

მერე ფეხბურთზე საუბარს შევუდგებით, ეს არის ჩვენი ულევი, მარადიული თემა.

ახლაც ასეა. ორნი ვართ.

— რა გქნათ, ნესტორ, რაზე ვილაპარაკოთ ამ ოთხმოცი წლის მიხვეულ-მოხვეულებში?

— ფეხბურთზე. გავიხსენებ ძველთაძველ ამბებს, სად დავიწყე თამაში, ვინ იყვნენ მაშინდელი ფეხბურთელები. შევეცდები გავიხსენო იმ პლეადის ხალხი, ჩამოვთვალო თითოეული მათგანი და, თუ ვინმე გამომრჩა, ბოდიში მომიხსენებია მათ წინაშე. ვისმეს რომ ქართული ფეხბურთის ისტორია დასჭირდეს, ზოგიერთ რამეს ჩემი ნაამბობიდანაც გამოიყენებს.

და შევუდექით წარსულის მოგონებათა მძიმე აღმართს:

— დაახლოებით 1926-27 წლები იქნებოდა. ძველი თბილისის არსრაიონში, კუკიაზე, იმ დროისთვის საკმაოდ ვარგისი სტადიონი გვქონდა, უფრო სწორად — სათამაშო მოედანი, მაგრამ გადამხმარი, მტვრიანი, ურწყავი. იქ ვიკრიბებოდით ხოლმე უბნის ბიჭები, მთელი დღე ბაგა-ბუგი გაისმოდა. მაშინ აქ ყველაფერს თავკაცად და კოსტია სოლტანი, მეტსახელად „კაშევარა“. ყველაფრის ავან-ჩავანი ის იყო. არსრაიონის პირველ გუნდში გამოდიოდნენ მიშა ასლამაზოვი, მიშა და ილია ხანდამოვები, შალიკო მალალაშვილი, ვალოდია იუდინი და სხვანი. ეს კი თბილისის პირველი ლიგის გუნდი გახლდათ. მერე შეიქმნა მეორე გუნდიც — მე, ჩემი ძმა შალვა ჩხატარაშვილი, ბიჭიკო კოკაძე, სერგო სიხარულიძე, გიო აბშილავა, გოგი ართმელაძე?, მიშა ყიფიანი, ვალიკო ფანცულაია. ახალბედათა ეს გუნდი თანდათან შეიკრიბა, განმტკიცდა, გამოიწრთო და პარტნიორიც გამოგვიჩნდა — სამომხმარებლო კოოპერატივი, სახელდობრ ტსპო შეგვეფერა. თბილისში მაშინ სამი ძლიერი კოლექტივი შეიქმნა: „დინამო“, ზიი, ტსპო. ჩვენს გუნდში თამაშობდნენ კოლია სალონინი, ბელკა ვორონინი, სურენ აკოფოვი, ვალოდია აფანასიევი, მიშა ღვინიაშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, სერგო შუდრა, შალვა რამიშვილი, გოგი იმნაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ლურიკ ლოლაძე, მამია ჩახუნაშვილი, ვანნუკა ჩერედნიჩენკო, ვალოდია ჭანჭალეიშვილი. ქალაქის ჩემპიონობასაც კი მივაღწიეთ.

1935-36 წლებში საკავშირო პირველობაზე ჩაგვრიცხეს მეორე ჯგუფში. იქაც კარგი შედეგები გვქონდა.



1936 წელს ტსპო-მ შეწყვიტა არსებობა და მთლიანი შემადგენლობით „ლოკომოტივში“ გადავიდა. მწვრთნელი გახლდათ კონსტანტინე კრაინევი. ჩვენს რიგებს თანდათანობით შეემატნენ ილო ლობჟანიძე, გივი ოსეფაიანი, ბორის ჩიტაია, გოგი ქურციკიძე, შოთა ჯოჯუა, მიშა ცენტერაძე, შურა მინჯია, გრიშა ეგიაზაროვი, საშა ჩიქოვანი, კაკო იმნაძე, სერგო ნინუა, შურა ჟდანოვი, ოტია ჟორდანია, მიხო ჭელიძე, გავრო ბოგატელი, მირონ მირზოიანი; ბაქოდან გადმოვიდა ვიქტორ პანიუკოვი.

ეს უკვე ძლიერი გუნდი გახლდათ — გამოცდილი, მებრძოლი, შეკრული. 1938 წელს თბილისის „ლოკომოტივმა“ საკავშირო პირველ ჯგუფსაც მიაღწია (ეს უმაღლესი ლიგაა), მაგრამ ვიღაცას რაღაცა არ მოეწონა, ვიღაცამ შარი მოგვდო და სეზონის დასასრულს თბილისის „ლოკომოტივი“ დაშალეს. მაშინდელი დრო, მოგეხსენებათ როგორი იყო — უბრალო შესიტყვების, ზედმეტი ლაქლაქისა და ენის ტლიკინისთვის ციმბირს უკან დაგატოვებინებდნენ, ამიტომაც თბილისის „ლოკომოტივი“ უჩუმრად დაიშალა. ერთნი სხვა გუნდებში გადავიდნენ, მეორენი საერთოდ შეეშვნენ თამაშს და „ლოკომოტივიც“ შორეულ მოგონებადღა იქცა.

პირადად მე 1940 წელს თბილისის „დინამოში“ გადავედი საკლუბო გუნდების მთავარ მწვრთნელად. ასე მოთავდა ჩემი, როგორც მოთამაშის, საფეხბურთო კარიერა. ხელი სხვა საქმეს მივყავი.

ყველაფერი ეს ომამდე მოხდა. მერე ცხოვრება შეტრიალდა, აგრიალდა ზარბაზნები, ჯარში გამიწვიეს რიგითად, მერე კურსანტი გავხდი.

1942 წელს თბილისის სამხედრო კომენდანტის გენერალ მ. მახონკოვის ადიუტანტის რეზო კავსაძის გახერხებით და სხვათა ხელშეწყობით შეიქმნა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში. უმადური ვიქნები, რომ აქ არ მოვიხსენიო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე გენერალი ალექსანდრე ხადეევი, რომელმაც საკუთარი სურვილით და მონდომებით ბევრი სიკეთე გააკეთა ჩვენი გუნდისთვის.

ტოდო-ს მწვრთნელად მე მიმიწვიეს. მაშინ უფროსი ლეიტენანტი გახლდით, გუნდში კი თამაშობდნენ რეზო კავსაძე, არტემ კელეჯიანი, ვლადიმერ იკონიკოვი, მიხეილ კუდრიავცევი, გოგი ნიკურაძე, ნაუმ ნაუმცევი, ილია ლობჟანიძე, დუკა რამიშვილი, შოთა ჯოჯუა, მიშა ჯოჯუა, კიკა ხინთიბიძე, შურა დიაჩენკო, ლადო ნარიმანიძე, კოლა საძაკაშვილი, შურა მინჯია, ჟორა ჭუმბურიძე, ნიკოლოზ მალახოვი, მერე და მერე შემოგვემატნენ სერგო ესიკია, შურა აბრამოვი, მირონ მირზოევი, კოტე ლოგინოვი, გიგა ნორაკიძე, გოგი ავეტისოვი, ავთო პაიჭაძე, რაფაელ მათევოსიანი, იური ზეგლარიანი, პეტრე ტიტოვი, ვიქტორ მერკულოვი, ალიოშა ჩიჩუა, საშა არხაროვი, გრიშა გრიშინი, ვიქტორ პოდლესნი, ჟორა კვირკველია, ნიკოლოზ კეშელავა, ბორის სიჭინავა, ასატურ გუქასიანი, თენგიზ მელაშვილი, მიშა მირომნიკოვი, იური კორტანიძე, ბაბა მეჭველიშვილი, ოთარ საბუ, დუდუ მასხულია, ოთარ მაჭავარიანი, ავთო ვარდიაშვილი, კუკო სიხარულიძე, კუკური გოგლიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კოსტია ნაზაროვი, ედუარდ დალაქიანი, შოთა ქველიძე, სულიკო თორაძე, მიშა მიქაძე, რეზო ოსაძე, გენო მენაბდე, ვოვა რამიშვილი, დოდიკ ხუნდაძე, ავთო ხელაძე, მერაბ გამყრელიძე, ბიძინა ტასიძე, ვახო გვარამაძე, ნოდარ ახალკაცი, შალვა პრელაშვილი, ალექსანდრე ივანოვი, ტოლია ივანოვი, ზაურ გაიხარაშვილი, ვანო შუდრა, სხვადასხვა დროს თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში უთამაშიათ ისეთ გამოჩენილ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან ანატოლი ბაშაშკინი, ვლადისლავ ჟმელკოვი, ასლან ხარბედია, სლავა ჩაიჩუკი, სპარტაკ ჯეჯელავა, ალექსანდრე ზაიცევსკი, ბორის კოვერზნევი, სერგო შუდრა.

ვგონებ, დავღალე მკითხველი ამ გრძელი სიის ჩამოთვლით, თავიც მოვაწყინე, მაგრამ გთხოვთ ნურც ადგილს დაინანებთ, ნურც დაიზარებთ, ვინაიდან ეს ჩვენი ფეხბურთის ისტორიის ერთი განუყოფელი ნაწილი გახლავთ, ისტორიაში კი არ უნდა გამოგრჩეს არავინ, არც შეგეშალოს და შეცვალო რამე. ეს უკვე ნამდვილი ისტორია აღარაა.

რად ღირს თუნდაც ის ერთი მატჩი, თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა გაძლიერებულ ცდკა-ს რომ მოუგო. 1946 წლის შემოდგომა იდგა. ცდკა-ს მაშინ ტოლი არა ჰყავდა საბჭოთა ფეხბურთში. იგი საფრანგეთს უნდა გამგზავრებულიყო პრესტიჟული საერთაშორისო თამაშების გასამართავად. არმიელებმა თავიანთ შემადგენლობას დაუმატეს ბორის პაიჭაძე, ალექსანდრე პონომარიოვი და სხვანი. და აი, ამ გუნდს „დინამოს“ სტადიონზე მოვუგეთ ანგარიშით 1:0. იცით, ვინ გამოდიოდა იმ დღეს ცდკა-ში? ნიკანოროვი, კოტრიკოვი, ჩისტოხვალოვი, გრინინი, ფედოტოვი, ნიკოლაევი, ბობროვი, დიომინი, პაიჭაძე, პონომარიოვი... და, აი, მოვუგეთ. ჩვენს გუნდში ვინ იყვნენ? გეტყვით: კელეჯიანი, ნიკურაძე, ბაშაშკინი, შ. ჯოჯუა, ლობჟანიძე, რამიშვილი, მერკულოვი, ხინთიბიძე, კეშელავა, ნარიმანიძე, საძაკაშვილი.

იმ წლების ჩვენი წარმატება, ალბათ, გეხსომებათ; 1957 წელს უმაღლესი ლიგის გადასასვლელ ტურნირშიც ვითამაშეთ, მაგრამ ითინი გვიყვეს, ხარმა დაგვიდეს და უმაღლეს ლიგაში ლენინგრადის „ადმირალტეეცს“ გაუკაფეს გზა, თანაც მეორე წელს თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი დაშალეს. დაშალეს და მოისვენეს კიდეც.

მსაჯობა ჯერ კიდევ ომამდე დავიწყე, ვემსახურებოდი საქართველოს პირველობას, საკავშირო ჩემპიონატს, 1953 წელს საკავშირო თასის ფინალური მატჩი ვიმსაჯე მოსკოვის „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ შორის, ვიმსაჯე, აგრეთვე, 1952 წლის ოლიმპიური თამაშების შეხვედრა ჰელსინკში, ევროპული საკლუბო ტურნირების მატჩები. საკმაო ხანს ვიმუშავე თბილისის „დინამოში“ ანდრო ჟორდანიასთან, გავრილ კაჩალინთან და ალიოშა კოტრიკაძესთან, ქუთაისის „ტორპედოში“ — ილია ლობჟანიძესთან; ვწვრთნიდი ბათუმის, გორის, რუსთავის, გურჯაანის გუნდებს; ვმუშაობდი ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში, ქართველი მსაჯების აღზრდაში გავიღე გარკვეული წვლილი. ცოტა არ გამიკეთებია, საქართველოში რომ აღზრდილიყვნენ პირველხარისხოვანი მსაჯები: კარლო ყრუაშვილი, ჟორა ბაქანიძე, მევლუდ მიმინოშვილი, ანატოლი მილჩენკო, ილია ბოჭორაძე, ანზორ ფეიქრიშვილი, გურამ გვანცელაძე და სხვები.

ფეხბურთის მწვრთნელის მოუსვენარი საქმიანობა, მოგეხსენებათ, ძალზე შფოთიანი, ხლაფორთიანი საქმეა. დღეს აქ ხარ, ხვალ — სადღაც სხვაგან. რატომღაც არავის უკვირს, მაგრამ გასაოცარი კია, როცა ერთსა და იმავე მწვრთნელს ერთსა და იმავე კლუბში ჯერ დაითხოვენ, მერე მიიწვევენ, ისევ დაითხოვენ, ისევ მიიწვევენ. და ასე დაუსრულებლივ. ანდრო ჟორდანია თბილისის „დინამოში“ ოთხჯერ მიიწვიეს და ოთხჯერ დაითხოვეს. ასეთივე ბედი ეწვიათ ალექსეი სოკოლოვს, გივი ჩოხელს, ალიოშა კოტრიკაძეს, ქუთაისში — გიგა ნორაკიძეს, მოსკოვში — მიხეილ იაკუშინს, ბორის არკადიევს, კონსტანტინე ბესკოვს, ვალენტინ ივანოვს... უცხოეთშიც ასეა. ხომ გაგიგიათ: იგებს გუნდი, აგებს კი მწვრთნელი. გამარჯვებას უამრავი მოზიარე ჰყავს, დამარცხებისას კი მარტო შენ მოგაკითხავენ ხოლმე. ეს მარტო სპორტში როდია, მაგრამ სპორტში ყველაზე უფრო ნათლად და გამოკვეთილად ჩანს ეს ულოგიკობა და აბსურდები.

ფეხბურთის მწვრთნელის ცხოვრება — ეს თავისებური ოდისეა გახლავთ: რთული, დაძაბული, ნერვული. შეიძლება წლების მანძილზე წვრთნიდე გუნდს და მერე უცებ მის წინააღმდეგ გამოიყვანო სულ სხვა კლუბი. ფეხბურთში ძმა ძმას არ ინდობს და მამა — შვილს.

... ბევრი დრო გავიდა, ძალიან ბევრი. დრომ კი უამრავი ხალხი წაიყოლია თან. აღარა მყავს ძმა, არც და, აღარა მყავს მეუღლე — თამარ გეგელაშვილი, აღარა მყავს მეგობრები: ანდრო ჟორდანია, დუკა რამიშვილი, ოტია ჟორდანია, აღარა გვყავს შეუდარებელი ბორია პაიჭაძე, ავთანდილ ლოლობერიძე. ყველას ვინ ჩამოთვლის. ჩემი ხანგრძლივი ცხოვრება ქართულ ფეხბურთს შევწირე, ერთი პატარა აგური მეც დავდე მის კედელში და ამიტომაც არ ვნანობ. ოლონდ, ეგაა, დავბერდი...

ჩემი მოსაუბრე დადუმდა. ვიყურეთ კარგა ხანს. ის თავისას ფიქრობდა, მე — ჩემსას. ოთახში კი ანდრო ჟორდანიას, დუკა რამიშვილისა და ბორის პაიჭაძის ნათელი ხსოვნის შუქი კრთოდა.

ასე ვიყურეთ ერთხანს. მერე ნესტორმა წყნარად წაიღიღინა ძველებური თბილისური:

დღე გადის და ღამე მოდის,
ჩემი საქმე არ გამოდის...

აღარაფერი მითქვამს. ვისხედით ეს ორი ბებრუკი ბეჭიკალეი და მდუმარედ ვფურცლავდით წარსულის მარადიული მეხსიერების ქიმერებს.

ბიჭიკო კორძაია

ღია წერილი პარლამენტს

(დასასრული)

რჩენილიყო სამინისტრო. მოგეხსენებათ, ასე არ მოხდა. მეორეც: რაკი სამინისტროს შევეხე, აქვე მინდა ვიკითხო, თუ რა იყო სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს დაშლის მიზეზი. გამოითქვა აზრი, რომ ტურიზმი საქართველოში დიდი შემოსავლის წყარო უნდა იყოს, რომ ტურიზმი იქნება ახალი ჟანგბადი ბიუჯეტის გასაჯანსაღებლად, მაგრამ მოდით დავეშვათ მიწაზე, ამას, უკეთეს შემთხვევაში, სულ ცოტა ხუთი წელიწადი მაინც დასჭირდება, მაშინაც კი ჩვენ ვერ ვიქნებით მასობრივი ტურიზმის ქვეყანა, ჩვენ უფრო მიზნობრივი ტურიზმის ქვეყნად შეიძლება გადავიქცეთ, სადაც ფართოდ იქნება წარმოდგენილი ქვეითი ტურიზმი, სამთო, სპელეო, წყალსაჯომარდო, საცხენოსნო, სანადირო, სათევზაო, ველო, ავტო და მოტოტურიზმი და მრავალი სხვა, რომლებიც შემდგომში ფიზკულტურულ-სპორტული ტურიზმის პროფილის სახეობებად უნდა ჩამოყალიბდეს. შესაძლოა ფართოდ დაინერგოს ბიზნესტურიზმი ანუ სავაჭრო ტურიზმი. იმას, რაც დღეს ფაქტობრივად ხდება ტურისტულ საქმიანობაში, ძირითადად რესპუბლიკიდან მყარი ვალუტის გადინების მეტი არაფერი მოაქვს. შესაძლოა ვცდები და ჩემს აზრს არ იზიარებთ, მაგრამ ის ვიღამ თქვა, რომ ტურიზმი მხოლოდ უცხოური ტურიზმით წარმოგვიდგება, ტურიზმის ძირითადი დანიშნულება უპირველესად საკუთარი ქვეყნით იწყება, ჯერ თავად უნდა მოიარო, შემდეგ კი უცხოელებს გააცნო შენი ქვეყანა. ქვეითი ტურიზმი გამოყენებული უნდა იყოს ერის გაჯანსაღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღად, რომელიც, სხვათა შორის, ჯანმრთელობის პროგრამის უცილობელი კომპონენტი უნდა იყოს. თუ მაინცდამაინც ფიქრობდა პარლამენტი, რომ ტურიზმს, სხვა უწყება უკეთ მოუვლის, ცალკე გამოგეყოთ უცხოური ტურიზმი, ხოლო ტურიზმი, თავისი ზოგადი ფორმითა და შინაარსით, დაგეტოვებინათ იქ, სადაც იგი ერის კულტურულ და ფიზიკურ ფორმირებას წაადგება.

იქნებ იცის ვინმემ დედამიწის ზურგზე ქვეყანა ხუთმილიონიანი მოსახლეობით, რომელსაც ჰყავს 134 მსოფლიო ჩემპიონი, 58 — მსოფლიო თასის მფლობელი, 66 — მსოფლიო რეკორდსმენი, 280 — ევროპის ჩემპიონი, 72 — ევროპის თასის მფლობელი, 31 — ოლიმპიური ჩემპიონი, 22 — ვერცხლისა და 34 — ბრინჯაოს პრიზიორი. მითხარით ერთი საქართველოში ნებისმიერი ინდუსტრია, რომელიც ქართული სპორტული ინდუსტრიის სადარი იყოს იმ მსოფლიო სტანდარტების დონეზე, რომელიც ქართულ სპორტს აქვს. ეს მაშინ, როდესაც ბევრი ჩვენი სათაყვანებელი სპორტსმენი, რომელმაც თავისი საუკეთესო წლები შეალია ქართული სპორტის დიდებას, მოიკლო ყოველგვარი მიწიერი სიამოვნება და სპარტანული ცხოვრებით იცხოვრა, დღეს სოციალურად დაუცველია. აი ეს უნდა იყოს პარლამენტის საფიქრალი, რათა ეროვნულ გმირებს თავისი მიუზღოს.

სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ სპორტის სამინისტრო ზედმეტი რგოლია სპორტული ბიზნესის განვითარებაში და აფერხებს მის განვითარებასა და წინსვლას. კარგი იქნება, თუ ამ იდეის ავტორი რამოდენიმე საათით მაინც გამონახავს დროს, შემოივლის ამ დაწესებულებებში და მის საქმიანობას გაეცნობა. ისე, ერთი რჩევა მინდა მივცე ფიზკულტურისა და სპორტის ახალ „სპეციალისტებს": ვიდრე რაიმე წინადადებას აღძრავდეთ ან რჩევას მოგვცემდეთ, იქნებ ცოტა მეტად დაფიქრდეთ და გაითვალისწინოთ, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი ის ინდუსტრიაა, სადაც უშუალოდ მონაწილეობენ სხვადასხვა სპეციალობის ინჟინრები და კონსტრუქტორები, არქიტექტორები და მშენებლები, მედიკოსები და ქიმიკოსები, ფიზიკოსები და ფსიქოლოგები, ეკონომისტები და იურისტები, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სპეციალისტები. მაშინ უფრო სერიოზულად შეხედავთ საერთოდ დარგის წინაშე მდგარ პრობლემებს.

მურთაზ მნათობიშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ახალ წლამდე შევიტყობთ...

ორიოდე ტურის შეხვედრებიც და ახალ წლამდე შევიტყობთ ვინაობას იმ მოსწავლე-მოჭადრაკეებისა, რომლებიც გაისად ივნის-ივლისში თანატოლთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში იასპარეზებენ — თბილისში მთავრდება უკანასკნელი შესარჩევი შეჯიბრებები 4 ასაკობრივ ჯგუფში. საგზურების მაძიებელთა შორის ხუთია ისეთი, რომლებსაც უკვე მოუპოვებიათ მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონის ტიტული ან სხვა საპრიზო ადგილი, ოღონდ ახლა ისინი უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფში საასპარეზოდ ემზადებიან. ამ ხუთეულში ერთი ბიჭი (გიორგი ბახტაძე) და ოთხი გოგოა (მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ტყეშელაშვილი, დიანა დარჩია, თინათინ ყველიაშვილი).

10 წლამდე გოგოებში ლიდერობას ინარჩუნებენ თელაველი ანა მათნაძე და ქუთაისელი ინგა ჩარხალაშვილი — შესაბამისად 6,5 და 6 ქულა (8 შესაძლებლიდან). ბიჭებმა 9-9 პარტია ითამაშეს. დუშელ გიორგი ფარესიშვილს 5,5, ზუგდიდელ ვალერი გვათუას კი 5 ქულა მოუგროვდათ.

12-წლიანებში ერთ-ერთი საგზური უკვე გაინაღდა თბილისელმა ყველიაშვილმა. იგი 8 ტურის მერე 2 ქულით უსწრებს ქუთაისელ შორენა ჯიმშელეიშვილსა და თბილისელ ნინო მაისურაძეს, რომლებიც 4,5-4,5 ქულით ჯერჯერობით II-III ადგილებს იყოფენ. ბიჭებში სიმჭიდროვეა: ქუთაისელ ალექსი ქასრაშვილს 5,5 ქულა აქვს, მის თანაქალაქელ ვალერი გაფრინდაშვილს და რუსთაველ თამაზ მგელაძეს — 5-5, ამიტომაც ბევრია დამოკიდებული დარჩენილი ორი ტურის შედეგებზე.

ჯერჯერობით მშვიდად ყოფნის უფლება არ აქვს ქუთაისელ ტყეშელაშვილს, რადგან მას ტოლს არ უდებს თბილისელი მილენა ესაიბეგიანი. ეს დუეტი ნახევარ-ნახევარი ქულით უსწრებს მესამე პრეტენდენტს — ქუთაისელ ინგა კახიანიძეს, რომელმაც 8-დან 3 ქულა დაკარგა 14-წლიანთა შეჯიბრებაში. უფრო გაურკვეველია ბიჭების მდგომარეობა. თბილისელებმა არტურ ჩიბუხჩიანმა, ბახტაძემ, მიხეილ მჭედლიშვილმა და ალექსი ედიშერაშვილმა 5-5 ქულას მოუყარეს თავი.

16-წლიანებში ერთადერთი, ვისაც დარჩენილ შეხვედრებში აუღელვებლად შეუძლია ითამაშოს, ლომინეიშვილია (8 ტურში 7 ქულა), ბათუმელ დარჩიასა და ქუთაისელ ნათია აფხაიძეს 1,5 ქულით მეტი აქვთ დაკარგული. ამ ასაკის ბიჭებში ორი საგზურის ორი მთავარი პრეტენდენტია — თბილისელი სერგო მოვსესიანი — 6,5 (8-დან) და რუსთაველი თამაზ გელაშვილი—5,5.

ახალი ციკლით...

იწყება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების შესარჩევ ასპარეზობათა ახალი ციკლი — ზონალური ტურნირები, რომლებიც საზონათაშორისო შეჯიბრებების მონაწილეებს დაასახელებენ. ერთი ასეთი ტურნირი — რუსეთის ზონალური პირველობა 14 იანვარს აიღებს სტარტს სანკტ-პეტერბურგში. აქ საზონათაშორისოს 4 საგზურს გაითამაშებს 40 სპორტსმენი, რომელთა შორის იქნება გუშინწინ ელისტაში დამთავრებული რუსეთის ჩემპიონატის სამი პრიზიორი: ალექსეი გავრილოვი, პაველ ტრეგუბოვი და კონსტანტინე ლანდა.

რაც შეეხება საქართველოს მოჭადრაკეებს, ისინი საბერძნეთის, ისრაელის, თურქეთის, ბოსნიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან V ზონაში გამოსცდიან ძალებს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

პრეზიდენტი და მეფე შერიგდნენ

არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა იტალიაში ვიზიტად ყოფნის დროს ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, რომ დიდი სურვილი აქვს ერთხელ კიდევ იხილოს დიეგო მარადონა თავისი ქვეყნის ნაკრებში. მარადონას მონაწილეობა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში, პრეზიდენტის აზრით, სტიმულს მისცემს ახალგაზრდა არგენტინელ ფეხბურთელებს.

კარლოს მენემს და მარადონას ერთმანეთში საკმაოდ რთული ურთიერთობა ჰქონდათ. იყო დრო, როცა პრეზიდენტმა „ფეხბურთის მეფე" თავისი ქვეყნის „საპატიო ელჩად" დანიშნა ევროპაში, მაგრამ ცნობილი სკანდალის შემდეგ ეს „წოდება" მოუხსნა. თავის მხრივ არგენტინის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა პრეზიდენტს ნარკომანთა მფარველობა დააბრალა (ფეხბურთელს მხედველობაში ჰყავდა პრეზიდენტის ნათესავი გოგო ამირა იომა, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობაში იყო შემჩნეული). მიმდინარე წლის აპრილს მოხდა მენემისა და მარადონას შერიგება.

სურათზე: მარადონასა და პრეზიდენტის შერიგების მომენტი.

ჩემპიონატები, მატჩები...

● **ლისაბონი.** წარუმატებელი სტარტის შემდეგ პორტუგალიის ჩემპიონატში თანდათან ფორმაში შედის ლისაბონის „ბენფიკა". განვლილ, მე-16 ტურში „ბენფიკამ" ანგარიშით 5:0 მოუგო „პასოსს". ორჯერ გამოიჩინა თავი რუსეთის ნაკრების ფეხბურთელმა სერგეი იურანმა, თითო გოლი გაიტანეს რუი კოშტამ, ვიტორ პანეირამ და ჟოაო პინტუმ.

ამ გამარჯვების შემდეგ „ბენფიკა" 22 ქულით მიუახლოვდა გათამაშების ლიდერს „პორტოს" (25). მესამე ადგილზეა „სპორტინგი"— 21 ქულა.

● **ათენი.** საბერძნეთის ჩემპიონატის მე-15 ტურში ერთ-ერთმა ლიდერმა „ოლიმპიაკოსმა" მიიღო „აპოლონი". „ოლიმპიაკოსს" გამარჯვება არ გასჭირვებია — 5:2.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ქსანტი" — „პანახაიკი" 2:0, „კალამარია" — „პიერიკოსი" 3:1, „ლარისა" — ოფი 1:1, „იონიკოსი" — „დოქსა" 1:2, „არისი" — პაოკ-ი 1-2, „პანათინაიკოსი" — „ათინაიკოსი" 2:0, „ედესაიკოსი" — „კორინთოსი" 1:4, „ირაკლისი" — აეკ-ი 1:1.

ერთპიროვნული ლიდერია აეკ-ი — 39 ქულა. „ოლიმპიაკოსი" მას 5 ქულით ჩამორჩება, ხოლო „პანათინაიკოსი" — 9 ქულით.

● **რომი.** იტალიის პირველობის თავისებური რეკორდი დაამყარა „მილანმა", რომელმაც განვლილ ტურში სტუმრად დაამარცხა „სამპდორია" — 2:1 და კალენდარული წელიწადი დაუმარცხებლად განვლო. ამ მატჩში, რომელიც ჯერ კიდევ სექტემბერში უნდა გამართულიყო, მაგრამ გვიანი დროისთვის გადაიტანეს, ანგარიში გახსნა მილანელმა მარკო სიმონემ. ტაიმის ბოლო წუთზე საპასუხო ბურთი გაიტანა ივანო ბონეტიმ, მაგრამ 57-ე წუთზე ფრანკ რაიკაარდის ზუსტი გადაცემის შემდეგ გადამწყვეტი გოლი გაიტანა რუუდ გულიტმა. ამ მატჩში ვერ ითამაშა ევროპის „ოქროს ბურთის" მფლობელმა მარკო ვან ბასტენმა, „მილანის" ამ თავდამსხმელმა სულ ახლახან ოპერაცია გადაიტანა, სამაგიეროდ, ფრანგმა ჟან-პიერ პაპენმა მინდორზე მთლიანად გაატარა 90 წუთი.

„მილანს" ამჟამად 23 ქულა აქვს და 8 ქულით უსწრებს მდევრებს „ინტერს", „ფიორენტინას" და „ტორინოს".

მსოფლიო ჩემპიონატი

1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მალტისა და იტალიის გუნდები. მალტელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 1:2. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ვიალიმ და სინიორიმ, მინდვრიდან გააძევეს იტალიელთა გუნდის კაპიტანი ფრანკო ბარეზი.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შვეიცარია	4	3	1	0	14-3	7
იტალია	3	1	2	0	4-3	4
შოტლანდია	3	0	2	1	1-3	2
პორტუგალია	1	0	1	0	0-0	1
მალტა	3	0	1	2	1-5	1
ესტონეთი	2	0	1	1	0-6	1

გაკოტრების პირას

ცნობილი დანიელი ფეხბურთელი პერ ფრიმანი რამდენიმე წლის მანძილზე თამაშობდა ბელგიის „ანდერლეხტში" ნახევარმცველად, მერე კი „ბრონდბიუში" გადავიდა, მაგრამ სულ მალე ტრავმა მიიღო და დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან. ორი წლის წინ მან იმავე ტრავმის გამო თავი დაანება ფეხბურთის თამაშს და ბიზნესს მიჰყო ხელი, რომელიც, ბუნებრივია, გარკვეულ საწყის კაპიტალს მოითხოვს.

პერ ფრიმანს იმედი აქვს, რომ ამ კაპიტალს „ბრონდბიუსაგან" მიიღებს, რომელსაც რამდენიმე ასეული ათასი დოლარი ვალი აქვს ფეხბურთელისა, მაგრამ კლუბი უარს ამბობს მის გადახდაზე. თუ კონფლიქტი მშვიდობიანად არ დასრულდა, ფრიმანი და მისი ადვოკატი სასამართლოს მიმართავენ და მაშინ... „ბრონდბიუს", რომლის ფინანსური მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, სხვა გზა არ ექნება: თავი გაკოტრებულად უნდა გამოაცხადოს.

რუუდ გულიტი:

„უჩემოდ „მილანი" წარმოუდგენელია!"

როცა იტალიის 1992-93 წლების საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყო, „მილანის" შემადგენლობაში ერთდროულად ექვსმა უცხოელმა მოთამაშემ მოიყარა თავი. სამი განთქმული ჰოლანდიელი (გულიტი, ვან ბასტენი, რაიკაარდი) აქ ადრეც გამოდიოდა, მათ დაემატნენ დეიან სავიჩევიჩი (იუგოსლავია), ზვონიმირ ბობანი (ხორვატია) და პოპულარული ფრანგი ჟან-პიერ პაპენი. იტალიაში არსებული წესების თანახმად კი გუნდს კალენდარულ მატჩში მხოლოდ სამი ფეხბურთელის გამოყვანა შეუძლია.

მაგრამ, რომელი სამი უნდა აირჩიონ მწვრთნელმა კაპელომ და კლუბის პრეზიდენტმა, მილიარდერმა ბერლუსკონიმ?

გულიტი მიიჩნევს, რომ ვან ბასტენისა და პირადად მის გარეშე „მილანის" თამაში საერთოდ წარმოუდგენელია, დარჩენილი ოთხიდან კი, დაე, ერთი უკეთესი ამოარჩიონ.

რას ფიქრობს იგი პაპენის შესახებ? „პაპენს ძალზე დიდი დრო დასჭირდება საიმისოდ, რომ საერთო ენა გამონახოს პარტნიორებთან, პირველ რიგში, ვან ბასტენთან. რაღა საჭიროა დროის დაკარგვა და რაღაც ექსპერიმენტები, როცა ჩვენ, სამი ჰოლანდიელი, ოთხი სეზონია „მილანში" წარმატებით ვთამაშობთ და მას დიდი სახელი შევძინეთ. რა პრობლემები ჰქონდა „მილანს" შეტევაში? — არავითარი! მე ვფიქრობ, რომ ვან ბასტენის მხარდამხარ უნდა ითამაშოს არა პაპენმა, არამედ ჩინებულმა იტალიელმა თავდამსხმელმა მასარომ".

გულიტმა მოიწონა მწვრთნელ კაპელოს გადაწყვეტილება — სეზონი, ფაქტობრივად, ორი შემადგენლობით ჩაატაროს.

— ეს ძალიან კარგი აზრია. 11 მოთამაშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუძლებს 70-80 მატჩს. ორი შემადგენლობის გამოყენების იდეა კარგი საქმეა, მით უმეტეს, როცა გუნდს საამისო შესაძლებლობა აქვს და ბევრი კარგი მოთამაშე ჰყავს.

•

შეეხო რა საკუთარ შესაძლებლობებს, რ. გულიტმა თქვა, რომ უმისოდ „მილანი" ლიგისათვის წარმოუდგენელია და მას მხოლოდ დრო აიძულებს ადგილი სხვა ფეხბურთელს დაუთმოს.

ვაჟა თორაძე

ბორა მილუტინოვიჩის განცხადება

ვაშინგტონი. იუგოსლაველმა მწვრთნელმა ბორა მილუტინოვიჩმა, რომელიც ახლა აშშ-ის ფეხბურთელთა ნაკრებს ხელმძღვანელობს, მსოფლიო ჩემპიონატის წინ, თავის ცხოვრებაში პირველად გააკეთა პოლიტიკური განცხადება. როგორც სერბი, იგი აღშფოთებულია იმ მრავალრიცხოვანი სანქციებით, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები მიმართავენ იუგოსლავიის წინააღმდეგ.

ბ. მილუტინოვიჩმა განაცხადა, რომ თუ ამერიკელები მომავალშიც ასე დაჟინებით მოითხოვენ იუგოსლავიელთა დასჯას, იგი იძულებული გახდება დატოვოს თავისი პოსტი.

ასე ფიქრობს კანცლერი

როგორც ცნობილია, 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარებას ერთმანეთს რვა ქალაქი ეცილება! ესენია: ბერლინი, ბრაზილია, სტამბული, მანჩესტერი, მილანი, პეკინი, სიდნეი და ტაშკენტი. ჯერჯერობით ძნელი სამარჩიელოა ვის როგორი შანსები აქვს წარმატებისა. გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი, მაგალითად, კატეგორიული განცხადებებისაგან თავს იკავებს და მეტოქეთა შესაძლებლობებს თანაბრად აფასებს. მისი აზრით, ბერლინის ოლიმპიადის მოსამზადებელ კომიტეტს არა აქვს თამაშების ჩატარების სერიოზული და ბოლომდე გაანგარიშებული ფინანსური კონცეფცია, რომელიც უპირატესობას მიანიჭებდა მას სხვა კონკურენტებთან შედარებით.

◆

მაინც დაისაჯა

თომას ჰირნსს პროფესიული კრივის სამყაროში იცნობენ, როგორც მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს რამდენიმე წონით კატეგორიაში. ახლა იგი ცნობილი გახდა როგორც მსჯავრდებული, რომელმაც სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა გადაიხადოს ფულადი ჯარიმა 685 ათასი დოლარის ოდენობით.

კონკრეტული დანაშაული ჰირნსს არ ჩაუდენია, არც ბოროტმოქმედების მონაწილე ყოფილა. არადა ორი წლის წინ მის ბინაში მოკლეს 19 წლის გოგონა ნენსი ბერილი. დანაშაული ჩაიდინა თომასის უმცროსმა ძმამ ჰენრიმ ეჭვიანობის ნიადაგზე.

ქალაქ დეტროიტის სასამართლომ უმცროს ჰირნსს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაისაჯა უფროსი ძმა თომასიც, რომელსაც საკმაოდ დიდი ჯარიმა აქვს გადასახდელი. არადა იგი იმ დღეს არა თუ არ ყოფილა სახლში, ქალაქშიც არ იყო საერთოდ. სასამართლომ, ამის მიუხედავად, მიიჩნია, რომ თომასს უმეთვალყურეოდ არ უნდა მიეტოვებინა იარაღი, რახან ძმის ჭირვეული ხასიათი იცოდა.

◆

კავშირი გაწყვიტეს

სპორტული საქონლის საქვეყნოდ ცნობილმა ამერიკულმა ფირმამ „ნაიკმა" ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა გერმანულ კლუბ „ნოიბრანდენბურგთან". მიზეზი გახლავთ ამ კლუბის წევრის, 100 მეტრზე რბენაში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის კატრინ კრაბეს დადანაშაულება დოპინგის მიღებაში.

„ნაიკეს" მაგალითს მიბაძა ავსტრია-შვეიცარიის ერთობლივმა კამპანიამ „ჰობასმა". მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგრძნობლად შეამცირებს ფინანსურ დახმარებას კლუბის ნიჩბოსანთა გუნდს, კონტრაქტის დამთავრების შემდეგ კი ყოველგვარ კავშირს გაწყვეტს მასთან.

სამი ვერსიით

როგორც ამას წინათ ვაუწყეთ მკითხველს, მსოფლიოს ჩემპიონმა კრივში სუპერმძიმე წონის პროფესიონალთა შორის, ამერიკელმა რიდიკ ბოუმ უარი თქვა თავის ტიტულზე, უფრო სწორად, ამ ტიტულის დაცვაზე და მოკრივეთა მსოფლიო საბჭომ ჩემპიონად ინგლისელი ლენოქს ლუისი გამოაცხადა.

ახლა უცხოეთიდან ახალი ცნობა მოვიდა იმის შესახებ, რომ რიდიკ ბოუ მაინც დაიცავს თავის ტიტულს, ოღონდ მაიკლ დოუკსთან შეხვედრაში, რომელიც ადრე ასევე ატარებდა მსოფლიო ჩემპიონის სახელს მძიმე წონაში. ამ ორი მოკრივის ბრძოლა დანიშნულია 6 თებერვლისათვის. ბრძოლა გაიმართება ან ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში", ან ატლანტის „კონვენშნ ჰოლის" სარბიელზე.

რამდენიმე სიტყვა ამ ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ დღეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის რეგისტრაცია ხდება სამი ვერსიით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბრძოლას ამ საპატიო სახელისათვის აწყობს სამი საერთაშორისო ორგანიზაცია: მოკრივეთა მსოფლიო კავშირი ან საბჭო (ვბს), მოკრივეთა მსოფლიო ასოციაცია (ვბა) და მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაცია (იბფ). ბუნებრივია, ნამდვილი ჩემპიონი არის ის, ვისაც სამივე ორგანიზაცია აღიარებს უძლიერესად. ასეთი იყო, მაგალითად, ტაისონი, მაგრამ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონი იყო ერთი ვერსიით, რაც ბოლო დროს ხშირად ხდება ხოლმე. ამიტომ არის ასეთი გაუგებრობა ჩემპიონთა კლასიფიკაციაში. ამიტომ არის, რომ ერთი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას არ იზიარებს მეორე და ა. შ.

მოქიშპე ორგანიზაციებმა რამდენიმეჯერ სცადეს მოლაპარაკება ერთიანი კავშირის ჩამოყალიბების მიზნით, მაგრამ სამივესათვის მისაღები, კომპრომისული პირობების გამონახვა ძნელი გამოდგა (აქ მხედველობაშია მისაღები ის, რომ სამივე ორგანიზაცია დიდ ფულს აკონტროლებს და ინიციატივის ხელიდან გაშვება არც ერთს არ სურს).

ადრე ასე, რა თქმა უნდა, არ იყო. ადრე ერთ წონას ერთი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავდა და მას ყველა უსიტყვოდ აღიარებდა. პირველი ბრძოლა ვბა-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულისათვის მძიმე წონაში ჩატარდა 1965 წლის 5 მარტს ჩიკაგოში: ერნი ტერელმა 15-რაუნდიანი ბრძოლა ქულებით მოუგო ედი მეჩენს (ორივე — აშშ) და ჩემპიონად გამოცხადდა.

იმავე წლის 2 დეკემბერს სიდნეიში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული გაითამაშეს ვბს-ს ვერსიით (უმჩატეს წონაში). იტალიელმა სალვატორე ბურუნმა მეცამეტე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა თანამემამულე როკი გატელერი.

შედარებით უფრო ახალი ორგანიზაციაა იბფ. აქ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პირველად გათამაშდა 1983 წლის 21 მაისს ბილინგზში (აშშ). ქვემძიმე წონის მოკრივემ მარვინ ქემელმა მე-9 რაუნდში ნოკაუტით აჯობა როკი სეკორსკის (ორივე — აშშ).

როგორც ხედავთ, სამივე ორგანიზაცია დამოუკიდებლად მართავს თავის მეურნეობას, რაც ნაკლებად ინფორმირებულ მკითხველში სამართლიან გაკვირვებასა და გაუგებრობასაც იწვევს. ჩვენ შევეცდებით შესაძლებლობების ფარგლებში ერთგვარი ნათელი მოვფინოთ პროფესიული კრივის ისტორიის ამ ნაწილს. ახლა, კიდევ რამდენიმე ცნობა პროფესიულ კრივზე, ოღონდ ევროპის მასშტაბით.

ბერლინში გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალთა ბრძოლა ევროპის ჩემპიონის ტიტულისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ ჰენრი ეკინვენდი (დიდი ბრიტანეთი) და აქსელ შულცი (გერმანია). 12 რაუნდის განმავლობაში ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახდინა შთაბეჭდილება მსაჯებზე, რომლებმაც ფრე დააფიქსირეს. დებულების თანახმად მეტოქეები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ხელმეორედ უახლოესი სამი თვის მანძილზე.

ბერლინშივე გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა საკვალიფიკაციო მატჩი. რუსმა ალექსანდრე მიროშნიჩენკომ (იგი იყო ევროპის ჩემპიონი მოყვარულთა შორის), რომელიც ამჟამად ჰამბურგში ცხოვრობს და იქვე ვარჯიშობს, ქულებით დაამარცხა ზამბიელი მაიკ სიმუველე.

კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა ბერლინის რინგზე: რუსეთიდან წასული ქვესაშუალო წონის მოკრივე ოლეგ შალაევი დამარცხდა გერმანელ რაინერ ჰისთან ორთაბრძოლაში.

„...ავსტრალიისკენ გამიწევდა გული"

„აბორიგენი ვარ" — ამის თქმა ძალიან უყვარს ლეგენდარულ ჩოგბურთელ ივონ გულაგონგ-კოულის. ეს განთქმული ავსტრალიელი ოსტატი მართლაც მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან აბორიგენთა რიცხვს, რომლებმაც თავიანთი ნიჭის წყალობით გაჭირვებისაგან თავის დაღწევა შეძლეს და მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი.

ივონ გულაგონგი დაიბადა ავსტრალიელ აბორიგენთა ოჯახში. მისი ბედი შეიძლება ამერიკელი ინდიელებისას შევადაროთ. გულაგონგის მამა, რომელსაც 8 შვილი ჰყავდა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ივონმა მიატოვა პატარა მშობლიური ქალაქი და უზარმაზარ სიდნეიში დასახლდა. როცა მან ჩოგბურთის თამაში დაიწყო, აბორიგენი კორტზე ფრიად უცნაური მოვლენა გახლდათ და მაყურებლებიც საგანგებოდ დადიოდნენ მის სანახავად, როგორც „დიდი საკვირველებისა".

— დიახ, მე მათ ვაოცებდი, რაც ძალიან მაღიზიანებდა. სანამ „ჩოგბურთელი ივონი" გავხდებოდი, „აბორიგენ ივონს" მეძახდნენ. ჩემს სახელსაც კი არასწორად წარმოთქვამდნენ — იგონებს გულაგონგი.

ავსტრალიაში მოპოვებული წარმატებების შემდეგ ივონ გულაგონგი ლონდონში გადასახლდა, სადაც თავდაპირველად, ძალიან იბნეოდა. ვინ იცის, რა ელოდა, ბედად მისთვის მწვრთნელ ვიკ ედვარდს რომ არ მიექცია ყურადღება. როგორც ავსტრალიურ გაზეთ „ნიუ იდეს" კორესპონდენტი აივორ დევისი წერდა, ვიკ ედვარდსი, ბერნარდ შოუს „პიგმალიონს" თუ მოვიგონებთ, ნამდვილი ჰენრი ჰიგინსი აღმოჩნდა ამ ავსტრალიელი ელიზა დულიტლისთვის. გოგონას მხოლოდ ჩოგბურთში როდი ავარჯიშებდნენ, სალაპარაკო ინგლისურისა და მდივანი ქალის კურსებზეც დადიოდა.

გულაგონგ-კოული

ივონ გულაგონგის აღმასვლა დაიწყო 1971 წელს, როცა უიმბლდონის ტურნირი მოიგო. მან იგივე წარმატება 1980 წელსაც გაიმეორა, მაშინ უკვე სამი წლის გოგონა ჰყავდა. აქ ერთი თავისებური რეკორდიც აღინიშნა თურმე — მთელი წინა 60 წლის მანძილზე უიმბლდონში ქალთა ერთეულების შეჯიბრებაში მხოლოდ გაუთხოვარნი იმარჯვებდნენ, ივონ გულაგონგ-კოული კი პირველი „დედა" ჩოგბურთელი იყო.

მას შემდეგ, რაც განთქმული ჩოგბურთელი ამერიკის შეერთებულ შტატებში დასახლდა, მას ხშირად ეკითხებოდნენ, კვლავ ავსტრალიელად მიაჩნდა თუ არა თავი. — მე ხომ აბორიგენი ვარ. ეს კი მაიძულებს უფრო მეტად ავსტრალიელად ვიგრძნო თავი, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ — იყო პასუხი.

და აი, ახლა, როცა ამერიკაში განცხრომით ცხოვრობს, გულაგონგმა გადაწყვიტა ყველაფერს თავი მიანებოს და სამშობლოში დასახლდეს. ამას წინათ მოინახულა კიდეც თავისი მშობლიური ქალაქი ბარელანი, სიდნეიდან 450 კილომეტრით დაშორებული. მას თან ახლდნენ მეუღლე როჯერ კოული (იგი ინგლისელია) და შვილები.

ავსტრალიაში დაბრუნების შემდეგ ივონ გულაგონგ-კოული აპირებს აბორიგენებზე ფილმის გადაღებას. — ეს ფილმი საშუალებას მომცემს მივაკვლიო ჩემს აბორიგენულ ფესვებს — ამბობს განთქმული ჩოგბურთელი — ყოველთვის ვგრძნობდი, რომ გავიდოდა დრო და ავსტრალიისკენ გამიწევდა გული. ეს დრო უკვე დადგა.

გიგი თორაძე

„სპორტლოტო"
50-ე ტირაჟის შედეგები

„6 45":
6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 27.165 მანეთი;
4 ნომერი — 911 მანეთი.

„5 36":
5 ნომერი — 441.401 მანეთი;
4 ნომერი — 2.903 მანეთი;
3 ნომერი — 125 მანეთი.

კროსის ბილიკებზე

მოლი. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის „გრან-პრის" სერიით ბელგიის ამ ქალაქის მიდამოებში დასრულდა კროსმენთა შეჯიბრება, რომლის 9225-მეტრიან მანძილზე ყველას აჯობა მაროკოელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა (10 კილომეტრზე ასპარეზობაში) ჰალიდ სკარხმა — 28. 01, 0. „გრან-პრის" გათამაშებას 4 ეტაპის მერე [illegible] 33 ქულით ლიდერობს კენიელი ონდორო ონდორო, რომელიც აქ IV იყო. ქალთა შორის ირლანდიელმა კატრინ მაკორნაკმა მიაღწია წარმატებას 4725 მეტრიან დისტანციაზე და ამით თასისთვის ბრძოლაში დაეწია კენიელ ლიდია ჩერომეის, მათ 44-44 ქულა აქვთ.

პარიზი. გაზეთ „ფიგაროს" ტრადიციული საერთაშორისო კროსი ბულონის ტყეში მოიგო კენიელმა რიგთომა სიამონ ჩემოიოიომ. მან 10 კილომეტრზე 30. 17 აჩვენა.

ციურიხი. „სან-სილვესტრის" ტრადიციულ გარბენში ქალთა შორის ფინიშთან ყველას მიასწრო 10 კილომეტრზე შეჯიბრებაში ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონმა დერარტუ ტულუმ (ეთიოპია).

[illegible]
[illegible]

საქართველოს სპორტის კომიტეტი და ჭადრაკის ფედერაცია თანაუგრძნობენ დიდოსტატ ნანა იოსელიანს მამის
მიხეილ იოსელიანის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს დიდოსტატ ნანა იოსელიანს მამის
მიხეილ იოსელიანის
გარდაცვალების გამო.

„ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" თანამშრომელ ნანა ახაიშვილს და გაზეთ „დროშის" მუშაკ მიხეილ ახაიშვილს მეუღლის და მამის
ნოდარ ახაიშვილის
გარდაცვალების გამო.

„შორტი ძალიან მომძლავრდა"

ინგლისელი დიდოსტატის, ბორის გელფანდის ამ აზრს ყველა იზიარებს. მართლაც, ნაიჯელ შორტს არასოდეს უთამაშია ასეთი წარმატებით, პრეტენდენტთა ბრძოლის ახლანდელ ციკლში მან სძლია ჯონათან სპილმენს, ბორის გელფანდს და ანატოლი კარპოვს. პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ინგლისელ დიდოსტატს ჰოლანდიელ იან ტიმანთან მოუწევს შეხვედრა. ამ მატჩშიც მას უპირატესობას ანიჭებენ.

აი, რას ფიქრობს შორტის ახლანდელ თამაშზე მისი ყოფილი მეტოქე გელფანდი:

● **რას იტყვით ინგლისელის თამაშის ძლიერ და სუსტ მხარეებზე?**

— ბრწყინვალეა პოზიციებში, სადაც ინიციატივას ფლობს. შეუძლია ორიგინალური გადაწყვეტილებები მიიღოს.

● **სწრაფად?**

— არცთუ ძალიან სწრაფად, მაგრამ კარგად გრძნობს, როდის არის საჭირო ჩაფიქრება. ეს ძვირფასი ღირსებაა, რომელიც ცოტას თუ აქვს.

● **სუსტი?**

— რამდენადმე ზედაპირული თამაში...

● **რას გულისხმობთ „ზედაპირულობაში?"**

— არის პოზიციები, რომელთა შეფასებაზე იგი არცკი ფიქრობს, თითქოს ყველაფერი ნათელია და თითქმის ავტომატურად აკეთებს სვლას — ანალოგიურ სიტუაციაში მე ეჭვები მიპყრობს, ვთვლი, ვეძებ. არავითარ შემთხვევაში არ ვამტკიცებ, რომ შორტზე უკეთესი მოჭადრაკე ვარ. ლაპარაკია ორ განსხვავებულ მანერაზე.

● **თვლით თუ არა შორტს და კამსკის ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა მოჭადრაკეებად?**

— შორტს ახალგაზრდა მოჭადრაკეების რიცხვს არ მივაკუთვნებდი, ისევე, როგორც კამსკის — ყველაზე პერსპექტიულებისას. ასეთები არიან ინგლისელი ადამსი, ინდოელი ანანდი — ეს ორი მოჭადრაკე ყველაზე უფრო ნიჭიერია.

● **თქვენ, ბუნებრივია, ემზადებოდით შორტის წინააღმდეგ, სწავლობდით მეტოქის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ა. შ. მეტოქე ასეთი იყო, როგორსაც ელოდით?**

— დიახ. დაახლოებით ისეთი. მე მხედველობაში მაქვს სადებიუტო რეპერტუარი, ტაქტიკური პრიორიტეტი... ყველაფერი სავარაუდო დიაპაზონში აღმოჩნდა.

● **ბევრი იყო თქვენს მატჩში შეცდომა?**

— საკმაოდ ბევრი, მაგრამ ეს ბუნებრივიც იყო, თუ გავითვალისწინებთ ჩვენ აგრესიულ სათამაშო მანერას.

● **რას იტყვით კარპოვის განცხადების შესახებ, რომელმაც კასპაროვი, გურევიჩი და ანანდი მის წინააღმდეგ შეთქმულებაში დაადანაშაულა?**

— ვფიქრობ, ეს ბრალდებები აშკარად თითიდან გამოწოვილი იყო. ისინი კარპოვის უაღრესად წარუმატებელმა თამაშმა გამოიწვია, თუმცა ანანდთან, საბოლოო ანგარიშით, მან მაინც მოიგო.

● **კარპოვ-შორტის მატჩამდე გამოთქვით პროგნოზი, რომ ინგლისელი გაიმარჯვებდა. ეტყობა, არ გიყვართ კარპოვი.**

— არა, ამაში არ გახლავთ საქმე, უბრალოდ, უკანასკნელ ხანებში მისი თამაში შესამჩნევად გაუარესდა. ალბათ მიხვდა, რომ ველარასოდეს შეხვდება კასპაროვს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, [illegible], 14. ☎ ტელ: 99-86-47, 99-81-72. ინდექსი 66486 INDEX [illegible] გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა.